№ 132

1877 – 1897

№ 132

ხუთშაბათი, 3 ივლისი 18*7 წ.

ხუთშაბათი, 3 ივლისი 1897 წ.

# ივერია

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 1 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 60 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 1 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 1 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ... —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო მეოწნმია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო აკანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—127—3)

## მთავრობის განკარგულებანი

### მომხმარებელ საზოგადოებათა ნორმალური წესდება

(შემდეგი *)

საზოგადოების საშუალებანი.

§ 6. საზოგადოების საშუალებას შეადგენს: საალებ-მიცემო და სათადარიგო თანხა.

§ 7. საალებ-მიცემო თანხას შეადგენს: ა) წევრთა მიერ პირველ-დასაწყისი გარდასახადი ფული (§ 13);

ბ) საწევრო წილი (პაი) (§ 13),—და

გ) ის სესხი, რომელსაც საზოგადო კრების გარდაწყვეტილების თანახმად საზოგადოების გამგეობა აიღებს;

შენიშვნა: საზოგადოებისაგან ნაკისრი საზოგადო ჯამი კალდებულებათა საზოგადოების წევრთა მიერ შეტანილ ფულსა და საწილო თანხას არ უნდა აღემატებოდეს.

§ 8. საალებ-მიცემო თანხა საზოგადოების სავაჭრო ოპერაციებსა და მიმდინარე ხარჯს უნდა მოხმარდეს;

§ 9. სათადარიგო თანხას შეადგენს.

ა) საზოგადოების ოპერაციების მოგებიდგან ყოველ წლიურად გადადებული ფული (§ 63);

ბ) ფული, რომელიც საზოგადოების წესდებისა და საანგარიშო წიგნების გასყიდვისაგან შემოვა (§ 15);

გ) გაპეიკების ნაწილაკები, რომლებიც მოგების განაწილებიდგან დარჩება (შენიშვნა 4 § 63-ისა);

დ) სათადარიგო თანხის სარგებელი (§ 11),—და

ე) შემთხვევით შემოსული ფული.

§ 10. სათადარიგო თანხის დანიშნულებაა—შეავსოს ის ზარალი, რომელიც მოულოდნელ გარემოებათა გამო საზოგადოების ოპერაციებს შეიძლება მოუვიდეს.

§) 11. საზოგადო კრების დადგენილების თანახმად, სათადარიგო თანხა შეიძლება სახელმწიფო და სახელმწიფოს-მიერ უზრუნველ-ყოფილ სარგებლიან ქაღალდებზედ იქმნას გადაცვლილი და შემნახველს კასსებსა, სახელმწიფო ბანკსა, მისს განყოფილებებსა და ჯგროვანის ნებართვით აგრეთვე სახაზინოებშიაც ინახებოდეს. სათადარიგო თანხის დახარჯვა, თანახმად მისის დანიშნულებისა (§ 10), მხოლოდ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების დადგენილებით შეიძლება.

საზოგადო წევრთა უფლებანი და მოვალეობანი.

§ 12. საზოგადოების წევრებად (აქა-და-აქ მცხოვრებნი, ან ამა და ამ დაწესებულებაში მსახურნი) მიიღებიან ისინი, რომელნიც ხსენებულის წესდების **) სავსებით შესრულებაზედ თანხმობას განაცხადებენ.

შენიშვნა 1. წევრთა რიცხვი განუსაზღვრელია.

შენიშვნა 2. საზოგადოების წევრებად არ მიიღებიან:

ა) სხვა-და-სხვა სასწავლებლების მოსწავლენი; ბ) სამხედრო სამსახურში მყოფნი ჯარის კაცნი და გ) ისინი, ვისაც სასამართლოს გარდაწყვეტილებით უფლებანი ჩამორთმეული აქვს.

გ მუხლი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაირღვეს, თუ საზოგადოება ისეთს ადგილას ჰმოქმედებს, რომელიც ამ მუხლში მოხსენებულთა დასასახლებლად არის დანიშნული.

§ 13. წევრად შემსვლელმა უნდა შეიტანოს: ა) პირველ-დაწყებითი გარდასახადი (არა უმეტეს 3 მან.) და ბ) წილის ფული (არა უმეტეს 10 მან.);

შენიშვნა. საწევრო წილი შეიძლება ერთად, ან ნაწილ ნაწილად იქმნას შეტანილი დანიშნულ ვადამდე, რომელსაც წარმომადგენელთა კრება გარდასწყვეტს.

§ 14. წილის რაოდენობა, თუ ერთს წევრს რამდენის წილის აღება შეუძლიან, წარმომადგენელთა კრებისაგან არის დამოკიდებული.

§ 15. თითოეულს წევრს საზოგადოებაში შესვლისათანავე წარმომადგენელთა კრების მიერ დადგენილ ფასად გამგეობისაგან ეძლევა ხსენებული წესდება და საანგარიშო წიგნაკი, რომლებშიაც იწერება, როგორც წევრის მიერ საზოგადოებაში შეტანილი ფული, აგრეთვე ნავაჭრის ღირებულობა, წილის ხვედრი დივიდენდი, საზოგადოების საწყობებიდგან წაღებულ საქონლის პრემია და საზოგადოების კასიდგან წევრის მიერ მიღებული ფული.

შენიშვნა. წევრთა მიერ საზოგადოების საწყობებში წლის განმავლობაში ნავაჭრ საქონლის ღირებულობის ჩასაწერად საანგებო წიგნები უნდა იყოს შემოღებული, სადაც თითოეულის წევრის მიერ ნავაჭრი ცალკე უნდა ჩაიწეროს.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“, № 131.

**) საზოგადოების წევრობა ყველას შეუძლიან, წოდებისა და სქესის განურჩევლად, აგრეთვე—ყოველგვარს საზოგადოებას, დაწესებულებას, ამხანაგობას, მუშათა გუნდს, სამზრუნველოს, სკოლას და სხ.

---

დაჯილდოებულ იქმნენ: 1895 წელს, 9 ივლისს, ერევნის გუბერნიაში ავაზაკებთან შეტაკების დროს ვაჟკაცობის გამოჩენისათვის მიიღეს მედლები ზედ-წარწერით „მამაცობისათვის“ გულზედ სატარებლად:

ოქროსი—კამარლინის რაზმის ურიადნიკმა კოტე ზ ა გ ო შ ვ ი ლ მ ა; ვერცხლის—უხტაპალარის რაზმის ურიადნიკმა ნიკო კ ი ლ ე ხ ს ა შ ვ ი ლ მ ა.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ იქმნა სახელმწიფო მამულების დეპარტამენტის უფროსი გამმიჯვნელი კოლეჟსკი რეგისტრატორი კ ე ნ ი ა— ტოპოგრაფად.

## ფელეტონი

### ქ უ რ დ ი

ამბავი ა. დე-ნორისა

მეორე კლასის კუპეში ვისხედით და ბერლინიდგან ვენაში მივდიოდით. ლაპარაკი ერთის საგნიდგან მეორეზედ გადადიოდა და ბოლოს მეცნიერ ლომბროზოს „თანდაყოლილ დანაშაულობა“-ზედ ჩამოვარდა. ექიმი ასსოვი მომხრე იყო ლომბროზოს თეორიისა, ხოლო ჩემი მეგობარი, ვექილი ბერლინიდგან,—მოწინააღმდეგე და გაცხარებული ამტკიცებდა, რომ ყოვლად პატიოსანი კაცი შეიძლება ისეთს გარემოებაში ჩავარდეს, რომ თავის და უნებურად ჩაიდინოს დანაშაულობაო.

— შეგიძლიანთ დაჰეშმარიტებით სთქვათ—ჰკითხა ბოლოს ვექილმა— რომ თვით თქვენც არ შეგემთხვევათ ასეთი არა მოულოდნელი გარემოება? კაცის ცხოვრებაში ძალიან ხშირია ასეთი ამბები და მე სასამართლო საქმეებში ბევრჯელ შემხვედრია ამის დამამტკიცებელი საბუთები.

— გეთანხმებით,—მიუგო ექიმმა, —მაგრამ ესეც უნდა ვთქვა, რომ თქვენ ვექილები სულ სხვა თვალით უცქერით მაგ საქმეს. დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთხელ არ დაჰკვირვებიხართ ბრალდებულის ზნეობრივ მდგომარეობას იმ თვალით რა თვალითაც მედიცინა უცქერის.

— პირიქით, ასეთს შემთხვევაში მე ყოველთვის მცოდნე კაცებს შევეკითხებოდი ხოლმე და თქვენ, რასაკვირველია, ეჭვს ვერ შეიტანთ იმათს გამოკვლევაზედ.

ვექილი წამოდგა, ხელები უკან დაიწყო და განაგრძო:

— ნება მიბოძეთ, სხვა-და-სხვა საბუთის მაგიერ, ერთი შემთხვევა გიამბოთ. ორის თვის წინად სასამართლოში ერთს დედაკაცს ვიცავდი, რომელსაც შიმშილის მოსაკლავად ერთი ბოთლი არაყი მოეპარა...

— აი, როგორ უცნაურად ლაპარაკობთ ვექილები, — სიცილითა სთქვა ექიმმა—თქვენ უთუოდ„ წყურვილის მოსაკლავადაო“ გინდოდათ გეთქვათ.

— სულაც არა! შიმშილმა აიძულა ასეთი ქურდობა ჩაედინა და არა წყურვილმა. იმისი ქმარი საშინელი ლოთი იყო. ოჯახი უკიდურესს მდგომარეობამდის მიიყვანა და ბოლოს ჩაიდინა ის, რაც ასეთს შემთხვევაში სანატრელი და სასურველია—მოკვდა, თხრილში თუ საავადმყოფოში, ნამდვილად არ ვიცი. ცოლმა, რასაკვირველია, სამუშაოს დაუწყო ძებნა, მაგრამ სამუშაოს არავინ აძლევდა, რადგანაც ყველამ იცოდა, რომ ლოთისა და მაწანწალას ქვრივი იყო. „ვინ იცის, ამბობდა ყველა, იქნება ათჯერ მეტი მოიპაროს, ვიდრე გააკეთოსო“. საწყალი ქვრივი მაინც არა სცხრებოდა და სამუშაოს ძებნაში ატარებდა დღე-ღამეს. დარწმუნებული ვარ, მათხოვრობა რომ დაეწყო, პურსა და ძველს ტანისამოსს ყველა მიაწვდიდა, მაგრამ იგი ყოვლად პატიოსანი იყო და მათხოვრობას შიმშილი ამჯობინა. მაგრამ შიმშილსაც საზღვარი აქვს და შემდეგკი ბუნება თავისას მოითხოვს. ოთხი-ხუთის დღის შიმშილის შემდეგ საწყალს დედაკაცს ორი გზა-ღა რჩებოდა: ან უნდა ასე თუ ისე კუჭი დაეკმაყოფილებინა და ან შიმშილით მომკვდარიყო. „ჩემი ქმარიო, ბოლოს იფიქრა, არაოდეს არა გძნობდა შიმშილს, თუმცა პურს ძალიან იშვიათად სჭამდა ხოლმე. ეს-კი იმიტომ, რომ ყოველ-დღე არაყსა სვამდა. მე რომ ერთი ნაჭერი პური ვიშოვნო და შევჭამო, სულ ერთია, ორის საათის შემდეგ ხელ-ახლა მომშივა, არაყი-კი ოთხ-ხუთ დღეს გამაძღებინებს და მანამდის სამუშაოსაც ვიშოვნი. მაგრამ არაყს არავინ მომცემს, პირ-იქით, ვისაც ვთხოვ, ძაღლსავით გამომაგდებს. ამიტომ თითონ უნდა ვიშოვნო სადმე.“ და აი, წავიდა არყის დუქანში. შესვლისათანავე იკითხა, „სამუშაო ხომ არა გაქვთო?“ და ლაპარაკის დროს ერთი ბოთლი არაყი გააპარა. ეს პირველი ქურდობა იყო... შეგიძლიანთ ეხლა სთქვათ, რომ ამ დედაკაცს დაბადებიდგანა ჰქონდა დაყოლილი ქურდობისადმი მიდრეკილება?

— შეიძლება არა ჰქონოდეს,— სთქვა ექიმმა,—მაგრამ ის მოქმედებდა თავისდა უნებურად. დიდის ხნის შიმშილისა და ტანჯვის გამო იმის ზნეობრივი მდგომარეობა...

— სწორედ მეც მაგას ვამბობდი იმ დედაკაცის გასამართლებლად,— გააწყვეტინა ვექილმა,—მაგრამ სასამართლომ ჩემი აზრი არ შეიწყნარა. ესეც კია, რომ ეგ დანაშაული უკანასკნელი იყო.

— როგორ თუ უკანასკნელი?

— ის მოკვდა, ნამდვილად არ ვიცი რა ავადმყოფობისაგან და ვეჭობკი, რომ ძალა გამოელია.

— და თქვენ-კი ამტკიცებთ, რომ დედაკაცი მტკიცე ხასიათისა იყო და მხოლოდ გარემოებამ აიძულა ქურდობა ჩაედინაო.

— ნამდვილად. დამეთანხმეთ, რომ იმას ადვილად შეეძლო მათხოვრობა დაეწყო, მაგრამ სიამაყე ნებას არ აძლევდა.

— მაგალითებისთვის შორს რად მივდივართ,—ჩავერიე მე,—განა ჩვენ ყოველ დღე არა ვკითხულობთ გაზეთებში, რომ ამანა-და-ამან სიყვარულის გამო მკვლელობა ჩაიდინაო და სიყვარულს ხომ ყოველს შემთხვევაში ნაკლები ძლიერება აქვს, ვიდრე შიმშილს.

ამ დროს კარები გაიღო და ახალი მგზავრი შემოვიდა. თან არავითარი ბარგი არა ჰქონდა. მგზავრმა თავი დაგვიკრა და იქვე კუთხეში მიჯდა. ასე ოც-და-ათის წლის კაცი იქმნებოდა. ტანზედ მუქის აბრეშუმის პიჯაკი ეცვა და ერთის შეხედვით მხატვარს მიემგვსავსებოდა.

— ძალიან იშვიათია, რომ მარტო სიყვარულის გამო კაცმა მკვლელობა ჩაიდინოს,—მომიგო ექიმმა,—უმეტესს ნაწილად სიყვარულთან ერთად სხვა რამეც არის ხოლმე, როგორც, მაგალითად, ეჭვი, ჯავრის ამოყრა და სხვა. ასეთი მიზეზები მით უფრო მოქმედებენ, რაც კაცი უფრო გაუნათლებელი და ზნეობრივად დაცემულია.

— თქვენ საერთოდ ადამიანზედ ჰლაპარაკობთ,—მივუგე—ჩ მე-კი მხედველობაში მარტო დედაკი მყავს. ნუ თუ, მაგალითად, შვილის მკვლელნი სულით ავადმყოფნი არიან?

— ძალიან ხშირად რაღაც გამოურკვეველს, გონება დაჩლუნგებულს მდგომარეობაში არიან ხოლმე, განსაკუთრებით შვილის გაჩენის შემდეგ.

— სასურველია შევიტყო,—ჩაერია ხელ-ახლად ვექილი,—რა მდგომარეობაში არიან მაშინ, როდესაც დასაწყისს აძლევენ იმ არსებათ, რომელთაც შემდეგ სიცოცხლეს უსპობენ.

— აღტაცებულს მდგომარეობაში, —დამშვიდებით მიუგო ექიმმა,—მე არა მჯერა, რომ პატიოსანი ქალი, თუ-კი სულით ავადმყოფი არ არის, თავისის ნებით ქორწინებამდის დაე-

დროებით დანიშნულ იქმნა უფროსი თანაშემწე ნუხის მაზრის უფროსის კოლეჟსკი სოვეტნიკი მალალაშვილი — ყაზახის მაზრის უფროსის პირველ თანაშემწედ.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, თავისისავე თხოვნით ავადმყოფობისა გამო, ჯებრილის მაზრის სამმართველოს კანცელარიის მოხელე ვეზირიშვილი.

# ახალი ამბავი

—

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას შემდეგის შინარსის წერილი მოსვლია ქ. კიშინევიდგან ბესსარაბიის ღვინის დამყენებელ სასწავლებლისაგან: „უმორჩილესადა გთხოვთ აცნობოთ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთ, რომ თანახმად სამეურნეო დეპარტამენტის დავალებისა, ჩვენ უკვე ვცადეთ განკარგებულის ღვინის დედით (წმინდა თხლით) ღვინის დაყენება, რაიცა საუკეთესო ღვინოს იძლევა. ამ ახალის საშუალების გასავრცელებლად ბლომად გვაქვს დამზადებული ხსენებული განკარგებული ღვინის დედა და მსურველთ უფასოდ ვუგზავნით. ვინც-კი ამ ახალის საშუალებით ღვინის დაყენებასა სცდის, უნდა უთუოდ დროზედ მოგვმართოს, — 1-ლ აგვისტომდე, და ამასთან გვაცნობოს წითელისა, თუ თეთრის ღვინის დედა უნდათ და რამდენი. საპასუხოდ მარკა უნდა გამოატანონ თან.

„სამეურნეო დეპარტამენტში შერიცხული ალექსანდრე მიხეილის ძე ნასტიუკოვი.

„ქ. კიშინევს. ბესსარაბიის ღვინის დამყენებელს სასწავლებელში“.

*** ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მიჰმართა ყველას, გვაცნობეთ სად და რა ადგილას რომელ გზების გაყვანა და შეკეთებაა საჭირო სასოფლო-მეურნეობის წარმატებისა და განკარგებისათვისაო.

ახლა, როგორც ნამდვილად შევიტყეთ, სხვათა შორის, საზოგადოებას თიანეთისა და თელავის მაზრის მომრიგებელ მოსამართლისაგან შემდეგი პასუხი მიუღია: ...„თიანეთისა და თელავის მაზრას თითქმის ყველგან კარგი გზატკეცილები აქვს გაყვანილი, განსაკუთრებით-კი თელავის მაზრას, მაგრამ დღეს ამ ორისავე მაზრისთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს რკინის გზა, რომელმაც ორსავე მაზრას უნდა გაუაროს და შეუერთდეს კავკასიის რკინის გზის მთავარს ლიანდაგს. მთელის ამ ორის მაზრის სოფლის მეურნეობა და აღებმიცემობა დღეს ამ გზის უქონლობის გამო დაცემულიაო“.

*** ტფილისის გუბერნატორმა გუშინ აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ რადგანაც ქალაქს აქვს თავისი აფთიაქი, ამისა გამო ის აფთიაქი, რომელიც ქალაქის სამკურნალოშია, უნდა გაუქმდეს და ან იმ აფთიაქიდგან ღარიბ მცხოვრებთ მიეცეთ მხოლოდ იმ გვარი წამლები, რომლის გაკეთება ულაბორატორიოდ შეიძლებაო.

*** აგვისტოს პირველ რიცხვებში სომხეთა პატრიარქს განუზრახავს ტფილისში ჩამოსვლა.

*** ბ-ნ ზირეს მაგივრად, რომელიც ფუილისს გადმოიყვანეს, გარდასახადთა ინსპექტორად ქ. ფოთში კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის მოხელე ი. კ. მულინი დაუნიშნავთ.

*** ამ თთვის 7-ნ 14-დე ქალაქის სამკურნალოს ავლაბრის განყოფილება დაკეტილი იქმნება და ავადმყოფებს აღარ მიიღებენ, რადგანაც სამკურნალოს განყოფილების სადგომის შეკეთებას შეუდგებიან.

*** ქალმა ექიმმა ქ-ნმა ფომინა ოსიფოვისამ გამოუცხადა ქალაქის გამგეობას, მსურს უფასოდ ვემსახურო ქალაქსაო. ქალაქის გამგეობამ ქ-ნი ფომინა ოსიფოვისა ვერის ნაწილის სასანიტარო ექიმად დაჰნიშნა.

*** ბ-ნ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ნება დაურთავს, რომ ტფილისის საბოტანიკო ბაღის გასაგანიერებლად ხაზინიდგან ყოველ წლივ გადადებულ იქმნას 10,000 მან. მაგივრად 20,000 მანეთი.

*** რადგანაც მომავალ წლის პირველ იანვრიდგან უქმდება სახელმწიფო ხარჯი, რომელსაც ყოველი მოქალაქე იხდიდა კომლეულად 3 მან. 7 თუმნამდე წელიწადში, ტფილისის მოქალაქეთ განუზრახავთ სთხოვონ მთავრობას, რათა მან აპატიოს ამ ხარჯის ძველი დარჩენილი ვალი, რომელიც ამ ჟამად 70,000 მანეთამდე მოგროვილა, თუმცა 1896 წლის მანიფესტის ძალითაც 200,000 მან. ეპატიათ.

*** ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ. შერვაშიძე სოფ. ბეთანიიდგან დაბრუნდა ტფილისს და გუშინ, 2 ივლისს, აბასთუმანს გაემგზავრა.

*** ქალაქის გამგეობა მომავალ შემოდგომაზედ ავლაბარში, როზოვის მოედანზედ, პატარა ბაღს გააშენებს.

*** ქალაქის გამგეობამ ამ რამდენისამე ხნის წინად ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებას სთხოვა, რომ მიხეილის ქუჩაზე ორი ფარდული გამართოს სკამებით ამ გზით მოსიარულეთათვის. ეხლა უსახელო საზოგადოებას შეუთვლია, რომ მხოლოდ ერთს ფარდულს ავაშენებო უსკამოდ. ფარდულის აშენებას ხსენებული საზოგადოება კრილოვისა და არღუთაშვილის პანსიონის შუა აპირებს.

*** ერთი მარტყოფის ქუჩის მკვიდრი გვთხოვს დავუბეჭდოთ შემდეგი შენიშვნა: ყველა ქუჩას ეშველა, ყველგან დაწმენდა-მორწყვას მიჰყვეს ხელი და მარტყოფის ქუჩა-კი მაინც ყოველ-გვარ სისუფთავეს და წეს-რიგს მოკლებულია. ქალაქის გამგეობის მიერ დაქ რავებული ქუჩის მცველი მუშები დასდგომიან ტფილისის იმ ქუჩებს, საცა საჭირო არ არის და რაც შეუძლიან უხახუნებენ და სცვეთავენ ცოცხებს, ჩვენ-კი ვერ იქნა, ვერ ვეღირსეთ ამ ჩვენ ქუჩის გაკეთებასა და გასუფთავებას. თუ წვიმა არ არის, საშინელის მტვრის შიშით სახლის კარებს ვერ ვაღებთ და თუ წვიმაა, სულაც გარეთ ვერ გამოვალთ, ისეთი ტალახი და ლაფია. რომ იტყვიან ყელთამდინ ტალახიაო, სწორეთ ამ ქუჩაზეა ნათქვამი. წელიწადში ორჯერ, ან სამ ჯერ ჰგვიან ქუჩის დამსუფთავებელი მუშები მარტყოფის ქუჩასა და ისიც დაგვილ მტვერს და ნაგავს სამუდამოდ აქვე თავს ანებებენ, რომ ქარმა უფრო ადვილად და კარგად მიაყაროს გამვლელ გამომვლელს და აქ მცხოვრებლებს.

მარტო ტალახი და მტვერი არ არის ჩვენი უბედურება, ამ ნაირსავე მდგომარეობაშია ფანრების და საერთოდ ჩვენის ქუჩის განათების საქმე. ძალიან იშვიათად შეხვდებით, რომ ფარანი მთელ ღამეს ენთოს და, თუ ვინიცობაა შეხვდეთ, ისიც უბედურს კაცის ვარსკვლავივით ჰბჟუტავს და ჰბოლავს ხოლმე. რამდენჯერ მივმართე ამ ქუჩის ფარნების გამნათებელს და ვკითხე, რატომ ყოველ ღამე არ ანთებთ ფარნებს, ან როცა ანთებთ, რატომ არ ამოსწევთ-მეთქი და, წარმოიდგინეთ, რას მიპასუხებს ხოლმე: ესე მაქვს ნაბრძანები და ესე უნდა მოვიქცეო. რომ ამოვწიო და რიგზე გავანათო, ნავთი მეტი წავა და ხაზეინი იზარალებს. ჩემის აზრის აქ უფრო საჭიროა ფარნების განათება, რადგანაც ცუდი ორღო-ჩოღრო და გაუკეთებელი ქუჩაა, თორემ გოლოვინის პროსპექტზე და სასახლის ქუჩაზე თვალ-დახუჭულიც გაივლის კაცი.

სასმელის წყლის სიშორემ ხომ მთლად შეგვაწუხა. წყლის მზიდველები ვეღარ ასდიან წყლის ზიდვას. ბევრჯელ ერთი წვეთი დასალევი წყალიც გვენატრება ხოლმე. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ წყალის ონკანი ძალიან შორს გვაქვს. კარგი იქნება, რომ მარტყოფის ქუჩის მცხოვრებლებსაც გვეღირსოს წყლის გამოყვანა. სწორედ დროა, მოგვხედოს ქალაქის გამგეობამ და ჩვენ გაჭირვებულ მდგომარეობის გაუმჯობესობას შეუდგეს, თორემ ასეთ პირობებში ცხოვრება ყოვლად შეუძლებელი ხდება!..

*** ზოგიერთ რუსულ გაზეთებს სწერენ ეჩმიაძინიდგან, რომ სომეხ-გრიგორიანთა სინოდმა ოფიციალური უწყება მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრისაგან იმის შესახებ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად დაამტკიცა სახელმწიფო საბჭოს შემდეგი გადაწყვეტილება სომხეთა სამრევლო-საეკკლესიო სკოლების, სასულიერო სემინარიებისა და ეჩმიაძინის სასულიერო გევორქიან აკადემიის შესახებ: 1) სომხეთა საეკკლესიო სამრევლო სკოლები,

---

მორჩილოს კაცს. გახსოვთ, იბსენის "ნორა"-ში გელმერის სიტყვები: „არავინ არ უმსხვერპლებს საყვარელს კაცს პატიოსნებასაო“.

— „მაგრამ მილიონი დედაკაცები მაინც სჩადიან მაგას“, — თუ არა ვცდები, ეუბნება მგონი ნორა.

ახალმა მგზავრმა, რომელიც აქამდე ყურადღებას არ გვაქცევდა, ცეცხლი მთხოვა პაპიროსისთვის და ჩვენს ლაპარაკს ყური დაუგდო.

— მართალია, მაგრამ სწორედ მაგიტომ არც მართალია, — სთქვა ფილოსოფოსის კილოთი ექიმმა, — ნუ თუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ჯან-საღმა დედაკაცმა ქმრის სიყვარულის გულისათვის რამდენიმე წელიწადი ციხეში ჯდომა მოისურვოს?

— ვითომ რატომაო? — მიუგო ვექილმა, — მე მინახამს, რომ მაგაზე უმნიშვნელო მიზეზის გამო მოჰყოლიან ციხეში.

აქ მგზავრი მოგვიახლოვდა და ლაპარაკში ჩაერია

— მაპატიეთ, ბატონო, — მიუბრუნდა ის ექიმს, — მაგრამ რადა გგონიათ თქვენ ეგ შეუძლებლად?

— იმიტომ, რომ მე სიყვარული არ წარმომიდგენია ისე, როგორც რომანებსა, ტრაგედიებსა და სხვა ამ გვარ თხუზულებებშია აწერილი. ჩემის აზრით, სიყვარული მხოლოდ ფიზიოლოგიური შედეგია ჩვენის სულიერის მოქმედებისა. კიდეც იმიტომ იგი შესაფერს წლოვანებას მოითხოვს და ცხოვრებაზედ იმის ზედ მოქმედება გამორკვეული და განსაზღვრულია. სიყვარული მამაკაცსა და დედაკაცს შორის სქესთა ბუნებრივი მიდრეკილებაა, რომელსაც საგნად შთამომავლობის განგრძობა აქვს. ამ საგნის გარეშე სიყვარული შეუძლებელია და თუ ეხლა სიყვარული მრავალს ჩვენგანს რაღაც ზეციური, ჰაეროვანი ჰგონია, ეგ მხოლოდ ნერვებისა და ოცნების ბრალია.

— მაშ თქვენის აზრით, ამ გვარი სიყვარული მხოლოდ მწერალთა და პოეტთა ოცნების ნაყოფია და სხვა არაფერი, და ასეთს სიყვარულს თუ დანაშაულობა მოსდევს, ეგ კაცის არა ნორმალური მდგომარეობის ბრალია?

— ჭეშმარიტად, — მიუგო ექიმმა.

— მე კი ვიცი ერთი შემთხვევა, — განაგრძო უცნობმა, — რომელიც სრულიად წინააღმდეგს ამტკიცებს. თუ ნებას მომცემთ, ბატონებო, გიამბობთ ამ შემთხვევას.

ჩვენ თავი დავუკარით თანხმობის ნიშნად დ უცნობმაც დაიწყო ლაპარაკი რაღაც უცნაურის, აკანკალებულის ხმით. დრო-გამოშვებით ლაპარაკს შესწყვეტდა და ხშირს თმებზედ ხელს გადისვამდა ხოლმე.

— ის ქალი, რომლის შესახებაც ეხლა უნდა გიამბოთ, გიმნაზიის მასწავლებლის შვილი იყო და სცხოვრობდა თავისს დედ-მამასთან ერთად ვირტემბერგის ერთს პატარა ქალაქში. მასწავლებელს, ამ ქალიშვილის გარდა, ოთხი სხვა შვილიცა ჰყავდა. ყველანი სწავლობდნენ და ამიტომ ოჯახი შეუძლებელი და ღარიბი იყო. მაგრამ თავიანთს სიღარიბეს ყველასთან ჰმალავდნენ და, ისე თუ ისე, სხვებს კარგად ეჩვენებოდნენ ხოლმე. ყოველ დილა მამა კარგად გაწმენდილისა და გასუფთავებულის სერთუკით მიდიოდა ხოლმე გიმნაზიაში, დედა და ქალი-კი — ლოტტა ამ დროს ოც-და-ორის წლისა იყო — შინა რჩებოდნენ და მთელი დღე ოჯახში ფუსფუსსა და საქმეში ატარებდნენ. ოჯახის საქმე ისე კარგად მიჰყავდათ, რომ მოხუცებული ყოველთვის გაკვირვებული და ცოლისა და ქალიშვილის მადლობელი იყო ხოლმე. და აი, ერთხელ ამ მივიწყებულსა და წყნარს კუთხეში საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ლოტტამ წარუდგინა დედ-მამას თავისი საქრმო, ახალგაზდა მხატვარი, რომელსაც ქვეყანაზედ არაფერი გააჩნდა თავისის ხელოვნების და მომავალის იმედის გარდა. მამამ პირველ დღესვე უარი განაცხადა და ხვეწნამ და მუდარამ ვეღარ დაიყოლიეს იგი. მაგრამ სიყვარულის, ანუ როგორც თქვენა ჰბრძანეთ, „სქესთა ბუნებრივ მიდრეკილების“, ჩაქრობა ადვილი საქმე არ არის. მიუხედავად ამისა, ახალგაზდებმა ერთმანეთში მიწერ-მოწერა გამართეს და, როგორც მუდამ მტკიცე ხასიათის კაცებსა სჩვევიათ, წინააღმდეგობამ იმათი გრძნობა ერთი ორად გააძლიერა. მხატვარი რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჰმუშაობდა, ლოტტა-კი სცდილობდა ოჯახის საქმეების კეთებასა და იმის წერილებს კითხვაში დაევიწყა საყვარელ კაცთან დაშორება. ასე მიდიოდა დრო, მაგრამ ერთმა წერილმა საქმე სულ სხვა ნაირად დაატრიალა. მხატვარი სწერდა, კონკურსისათვის სურათის ხატვას ვაპირებ და იმედიც მაქვს, რომ გავიმარჯვებო. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ფული ვერსად მიშოვნია სახელოსნოს დასაქირავებლად დ საჭირო მასალის შესაძენადაო; უამისოდ-კი საქმეს ვერ მივყოფ ხელს და იძულებული ვარ თავი დავანებოო. ამ წერილმა საშინლად დააღონა ლოტტა. ის კარგად იცნობდა თავისს საყვარელს და დარწმუნებული იყო, რომ თუ არ გაჭირვებული, ასეთს დახმარების წერილს არ მოსწერდა. დარწმუნებული იყო აგრეთვე, რომ ამ კონკურსზეა დამოკიდებული იმის მომავალი, და გადასწყვიტა, ასე თუ ისე, ეშოვნა ფული.

აქ უცნობი შედგა, მიუბრუნდა ექიმს და ჰკითხა:

— აქამდის ხომ არ ჩასთვლით ამ ქალს სულით ავადმყოფად.

— მე მგონია, რომ ის გრძნობა, რომელმაც ქალი შეიპყრო, სიყვარული-კი არა, უფრო შიში იყო. ქალს ყველაფერი უკუღმა მოეჩვენა, შეშინდა, რომ სუყველაფერი დაიღუპაო, თუმცა წერილში ასეთი არაფერი იყო და, გონება რომ მოეკრიბა, აშკარად დაინახავდა, რომ ასი ან ორასი მარკა ჯერ კიდევ გამარჯვების წინამორბედი არ იყო.

— მე ნებას მივცემ ჩემს თავს და შევნიშნავ, რომ სწორედ ეგ შიში და იმედი, დარწმუნება დ ნდობა შეადგენენ ნამდვილს სიყვარულს, — მიუგო უცნობმა — და აი სწორედ ამგვარის სიყვარულით გატაცებულს ქალს, — განაგრძო იმან, — მხოლოდ ერთი აზრის განხორციელება და სისრულეში მოყვანა-ღა უნდოდა — დაჰხმარებოდა და როგორმე გამოეყვანა გაჭირვებიდგან საყვარელი კაცი. მაგრამ როგორ და რანაირად? მშობლებისათვის მიემართა? თითონ იმათაც არაფერი ჰქონდათ და, გარდა ამისა, ეს გარემოება უფრო შეაძულებდა მათ მხატვარს. მაშ რა ექნა? ნუ თუ ჩარჩებისათვის ეთხოვნა? ისინი კიდევ უგირაოდ გროშს არ მისცემდნენ. ყველა ამ მოსაზრების აწონ — დაწონვის შემდეგ ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ქურდობის მეტი გზა აღარსადა მაქვსო. კაცი რომ ყოფილიყო, ბევრს არ იფიქრებდა, წაისვამდა სახეზედ ნახშირს, გამოვიდოდა შარა გზაზედ თოფით ხელში და პირველ შეხვედრილ მგზავრს ამოაცლიდა ჯიბიდგან ფულს, მაგრამ ის მხოლოდ სუსტი არსება, ქალი იყო და ამისი ჩადენა არ შეეძლო. ამიტომ შეადგინა სხვა გეგმა, რომელიც იმას საუკეთესოდ მიაჩნდა..

ილო

(დასასრული იქმნება)

რომლებსაც აქამდის სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო უწყება განაგებდა, ამიერიდგან განათლების სამინისტროს უწყებას გადაეცემა, იმ პირობით, რომ სომეხ-გრიგორიანთა სამღვდელოებას ნება ჰქონდეს თვალ-ყური ადევნოს მოზარდ თაობის სასულიერო განათლებას; 2) განთავისუფლებულ იქმნას სომეხთა კონსისტორია და სასულიერო უწყება მასწავლებელთა სიების შედგენისა, სკოლების და მასწავლებლების შენახვისაგან. და 3) დატოვებულ იქმნას აწ არსებული წესი სომეხთა სასულიერო სემინარიებისა და აკადემიის შესახებ.

⁂ წელს ასტრახანის სასულიერო სემინარიაში სწავლა დაამთავრა ორმა ქართველმა, სახელდობრ: იროდიონ ფანჯაკიძემ პირველის ხარისხით და პროკოპი ჯუღელმა. ამავე სემინარიაში სწავლობს კიდევ თურმე ორი ქართველი.

⁂ ტფილისის დედათა მესამე გიმნაზიის პანსიონი განუზრახავთ დაჰკეტონ, რადგანაც პანსიონის შემოსავალი არა ჰყოფნის იმისს შენახვას.

⁂ სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებას და აგრეთვე ადგილობრივ ხაზინას ამ დღეებში დიდ ძალი ოქროს და ვერცხლის ფული მოუვიდა და ამასთანავე ბრძანება, ქაღალდის ფულს მანათიანსა და სამ მანათიანს ნუღარავის ნუ მისცემთ და ქაღალდის ფულის მაგივრად ოქროს და ვერცხლის ფული მიეცითო. ამასთანვე რაც მანათიან და სამ მანათიან ხარისხის ქაღალდის ფული შემოვიდეს ბანკში, პეტერბურგს გამოგზავნეთ დასაწველადაო.

⁂ 30 ივნისს ტფილისის საგუბერნიო სამხედრო ბეგარობის საკრებულოს სხდომა ჰქონდა და განაწილებულ იქმნა, თუ ამ 1897 წ. თითოეულის ადგილიდგან რამდენი კაცი უნდა იქმნას ჯარში გაყვანილი მთელს ტფილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში. ქ. ტფილისში სულ გაწვეულ იქნება 341 კაცი და ამათგან ჯარის-კაცად მოხვდება 60 კაცი; ტფილისის მაზრაში გაწვეულია 425 კაცი, ამათგან გაყვანილ იქმნება 77 კაცი; ახალქალაქიდგან—607 კაცია, ჯარში გავა 111 კაცი; ახალციხიდგან—288 კაცია, ჯარში გაიყვანენ 53 კაცს; ბორჩალოდგან—521, ჯარში გავა 99 კაცი; გორიდგან—1722, ჯარში გავა 302 კაცი; დუშეთიდგან—680, ჯარში გავა 114 კაცი; ზაქათალიდგან—915, ჯარში გავა 149 კაცი; თელავიდგან—684, ჯარში გავა 112 კაცი; თიანეთიდგან—339, ჯარში გავა 51 კაცი, და სულ გაწვეულ იქმნება 6,522 კაცი, ხოლო ჯარში გაიყვანენ 1,128 კაცს. მთელს კავკასიაში წელს 4,500 კაცი იქმნება ჯარში გაწვეული.

⁂ შინაგან საქმეთა მინისტრს ქ. სოხუმში თვით-მართველობის შემოღების საქმე ერთის წლით კიდევ გადაუდვია. („ახ. მიმოხ.“)

⁂ ბარის ოსები, (კავკავის მაზრა). აქაურნი მცხოვრებნი ჯერ უმისოდაც დაღონებულნი იყვნენ, რადგანაც ზოგიერთ სოფლებში პურის მოსავალი კარგი არ არის და 15 ივნისმა ხომ სულ დაალონა. შუადღე გადასულ იყო, რომ ამოვარდა საშინელი ქვენა ქარი, რომელსაც თან მოჰყვა შავი ღრუბელი და დიდი ქექა ქუხილი; დაუშვა გულშემზარავი სეტყვა. სეტყვამ ძალიან დასეტყვა სოფლები: დარკოხი, არიყი, ბრუთი და ზილგე და გადაეშვა ჩრდილოეთისკენ. სხვათა შორის დიდი ზარალი მისცა სოფ. არიყს. ნიაღვარმა დაარჩო ამ სოფლელების 200 სულზედ მეტი ცხვარი და 20 სულამდე მსხვილფეხა საქონელი, მოსავალს ხომ ნუღარ იტყვით.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ნაფარეული.** (კახეთი). შეუბრალებელმა სიღარიბემ გვიგდო თავისს კლანჭებში და ლამის არის მთლად დაგვიმონავოს. ამისი მიზეზი ბევრია, მაგრამ უმთავრესი-კი—ღვინის მოუსავლობაა, რომელიც ერთად-ერთს ჩვენის ცხოვრების სახსარს შეადგენს. ჩვენდა საუბედუროდ, ღვინის მოსავალს ზედ დაერთო პურისა, ქერისა, სიმინდისა და სხ. მოუსავლობაც. ამ მოულოდნელმა უბედურებამ უკანასკნელს სიღარიბემდის მიგვაღწევინა და ეხლა მხოლოდ მომავლის იმედებით ღა გვიდგას სული, თორემ სხვა აღარა გაგვაჩნიარა.

არა ნაკლები უბედურება ჩვენის სოფ. მრავალი დუქნებია, რომლებსაც თითქმის იმდენივე ვნება მოაქვთ, რამდენიც მოუსავლობას. იმის მაგიერ, რომ ამ მოუსავლობაში რამდენიმე სასმლის დუქანი გაუქმებულიყო და მოესპოთ სოფელში, უფრო მოუმატეს!..

როგორც აქაურნი მკვიდრნი, აგრეთვე ბევრნი სხვა-და-სხვა სამუშაოდ მიდიოდნენ თიანეთს, [illegible] -წყლით *) მამულები ამ შემოდგომაში ბევრს დახმარებას უწევდა გლეხ-კაცს და იქ მუშაობიდგან ადებულის ფულით სახელმწიფო და სხვა-და-სხვა [illegible] გარდასახადს ისტუმრებდა. ჩვენდა საუბედუროდ, ეხლა აქაურნი მცხოვრებნი ცოტ-ცოტა შეეჩვივნენ აქაურის დუქნებში ფულის ხარჯვას და ქეიფს. [illegible] და მან ღვინო არა გააქვსო, შედიან დუქნებში და იქა სვამენ. დღეს ერთი ამხანაგი მეორეს დუქანში ჩაიქაჩავს ღვინოზედ, ხვალ მეორე—მესამეს და სხ. ჩარქაჩს მოქეიფეებს ხელადა, იმას თუნგი, მერე სიმღერა და გახდა ქეიფი!.. ამ ქეიფში, რასაკვირველია, თვით მიკიტანიც ჩვეულებისამებრ ამათთანა სვამს და ქეიფობს იმათის ხარჯზედ; ღვინოს არ მოაკლებს თუნდ თითონ არ მოიკითხონ, გამოულეველად სველ-სველი ხელადა მოაქვს და ხშირად სიმთვრალეში შეუცვლის კიდეც, მაგრამ არ გეგონოთ, მიკიტანს ეს ბოროტებით მოსდიოდეს, პირ იქით უფრთხილდება, ძალიან არ დაითვრნო. რა ქნას, ყველასთვის გული შესტკივა!.. თვით მიკიტანი არასოდეს არ დაითვრება და იქამდის გონიერია და ფრთხილი, რომ თავისს დღეში ანგარიში არ აერევა და ნაკლებს არ გამოართმევს, თუ მეტს არა!..

ამ გვარად მთელის კვირის ნაშრომს და ნაწვავ-ნადაგს ეხლა ერთს კვირა დღესა ჰხარჯავენ ლოთობაზედ. რასაკვირველია, ამის შემდეგ უფრო გაღარიბდება და გაღატაკდება უმისოდაც დაჰკვეთებული გლეხ-კაცი და ის ორიოდე გროში, რომელსაც წვა-დაგვით ჰშოულობს, მიკიტნის დახლში გადავა. კარგა ხანია ამ არა სამწუხარო გარემოებას ყურადღება მიაქციეს აქაურმა მღ. მ. ვარდიაშვილმა და ბოქაულმა ი. გომელაურმა. არა ერთხელ და ორჯელ აუხსნიათ და განუმარტავთ ლოთობის უკეთური გვარი ვნება და შედეგი, მაგრამ ხალხი მაინც თავისას არ იშლის. ბევრჯელ კიდეც უბრძანა ბ-მა ბოქაულმა აქაურს მამასახლისს ბაღ—შვილს, რომ აეკრძალა ხალხისთვის დუქნებში ღვინის სმა და საერთოდ ყოველგვარი ღონისძიება ეხმარა ლოთობის მოსასპობლად **), მაგრამ ეს სიტყვა, სამწუხაროდ, უკვალოდ რჩებოდა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“!.. თითქმის ყველა საქმეებს მიკიტნის დუქნებში აწარმოებს და აბა თავისი მტერი ხომ არ გახდება!..

აქაურნი მოვაჭრენი, როგორც საზოგადოთ მთელს კახეთში,—სომხები არიან. ყველას კარგად მოეხსენება, იმათი ვაჭრობა რა ნიადაგზედ არის დამყარებული; ესეც კარგად იციან, რომ სიმდიდრის მოხვეჭა ამათი იდეალია და იდეალის მისაღწევად ყოველგვარს საშუალებასა ჰხმარობენ. თუ ნახეს, რომ კაცს ძალიან უჭირს და იმათ იქით გზა არა აქვს, შენს მტერს, რომ დღეს დაუურიან და უკანასკნელს სისხლს ამოსწოვენ. ყველაფერს ერთი-ორად და სამად აფასებენ და თუ არ მიეცი, კარგად გამოგლანძღავენ და გამოგისტუმრებენ. ბევრი, მეტად ბევრი მანდილოსანი და მამაკაცი მინახავს ჩვენს დუქნებში გალანძღული! რისთვის? იმისთვის, რომ ღირებულზედ ცოტა მეტს ფასს აძლევენ და არა ერთი სამად მეტს! ეხლა ყველას ეშინიან ამათი და დიდის მოკრძალებითა ვაჭრობენ ხოლმე, არ გაგვიჯავრდესო!..

ფულის გასესხებაც ჩვენში სხვა წესებზედ არის დამყარებული. მიხვალ ფულის სასესხებლად მოვაჭრე სომეხთან (სხვაგან გზა არა გაქვს) და, რასაკვირველია, სთხოვ ვადით ფული მოგცეს. ეს ბატონი ჯერ განაზღებს და კრიალოსანს დაუწყებს თამაშს, შემდეგ ამპარტავნულად შემოგხედავს და მაღალის ხმით, თითქმის, ბრძანების კილოთი, გიპასუხებს: „წადი ქაღალდი დააწერინე, ნოტარიუსს შეამოწმებინე იმ პირობით, რომ ერთის თუმნის მაგივრად, რომელსაც მთხოვ და უნდა გასესხო, 32 მანეთი დასწეროს, რადგანაც ათ შაურობაზედ თუმანი 16 მ. შეადგენს ერთს წელიწადში, მხოლოდ ვექსილში ერთი ორად უნდა იყოს მოხსენებული იმიტომ, რომ ვადაზედ უთუოდ ჩამაბარო, თორემ განა ამდენს წაგართმევ? შემდეგ უკეთუ ვადაზედ ვერ ჩამაბარო, მაშინ ჯარიმაც ერთი ამდენი, ე. ი. 32 მან. დააწერინე ჩემს სასარგებლოდ. მომიტანე ნოტარიუსისგან შემოწმებული თამასუქი და წაიღე 10 მ.“

რა ქნას საწყალმა გლეხმა, ამნაირი თამასუქი თუ არ მიუტანა, ფულს ვერ იშოვნის და ისიც ნება უნებურად ემორჩილება იმ იმედით, რომ ვადამდის ჩავაბარებ და რაღას მიზამსო. ხანდახან, სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, ვეღარ იხდის ამ ფულს ვადაზედ და 64 მანეთს ვადის შემდეგ ახდევინებენ. ბევრჯელ ისიც მოხდება ხოლმე, რომ გლეხი ფულს ჰშოულობს ვადაზედ და ფულის-პატრონი-კი ემალება ან ფულს უკანვე უბრუნებს, წადი ეგ ფული ეხლა შენვე მოიხმარე თუ გჭირდებაო. გლეხი კიდეც ტყუვდება და ვადის შემდეგ კი ერთი ოთხად ახდევინებენ. ხან კიდევ, ბევრის ხვეწნის შემდეგ, თამასუქს უცვლის და ისევ ზემოხსენებულის ხრიკებით და პირობებით ახალს აწერინებს, ასე რომ ორი-სამის წლის შემდეგ ამგვარის ბარათების გამოცვლით 10 მან. 1000 მანეთად გადაიქცევა ხოლმე და, რასაკვირველია, იმის სარგებლის სარგებლებსაც ვეღარ იხდის მოვალე, არამც თუ მთელი ვალი გარდაიხადოს. აი ასე იღუპება ჩვენი ხალხი და მშველელი-კი ჯერ არავინა სჩანს.

კახელი გახლავართ

*) სოფ. ნაფარეულის მთა-ტყე, მინდვრები და ზვრები, გარდა ნადელებისა და ზოგიერთის ვენახებისა, რომელიც ამ სოფლის მკვიდრთ ეკუთვნის, შეადგენს საუფლისწულო მამულს.

**) ლოთობის და სხვა ამგვარის ცუდის ქცევის მოსასპობლად ჩვენმა კეთილ-მხნე და გულმოდგინე ბოქაულმა ბ-ნ ი. გომელაურმა, ბევრის რჩევისა და ქადაგების შემდეგ, დაარწმუნა და დაადგენინა ხალხს განაჩენი, რომლის ძალითაც ეძლევა მამასახლისს ნება ყოვლის ცუდის საქმის ჩამდენს კაცს და დუქანში მოლოთავეს გარდაახდევინოს ჯარიმა და დასაჯოს განაჩენის თანახმად.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

საყურადღებოა გაზეთის „Нов. Обоз.“ და „Тиф. Лист.“-ს თანხმობა ქალაქის საქმეების შესახებ. ჯერ ორივენი ერთ-ხმად ამბობდნენ, რომ ახალი საბჭო ჩინებულია, სულ ინტელიგენტები და მცოდნე კაცები არიან არჩეულნიო. ეხლა-კი, რაღაც უცნაურის მიზეზისა გამო, ორივენი ამტკიცებენ,—ახალი საბჭო ვერაფერს გააკეთებსო. ერთი ამბობს, „ახალი ცოცხი“ ესე იგი ახალი საბჭო ლაპარაკის მეტს ვერაფერს გააკეთებსო. მეორე გაზეთი ბანს აძლევს:

ჩვენ არ თანავუგრძნობთ ახალს საბჭოს, რადგანაც ხმოსანთა უმრავლესობა ისეთ კაცებისაგან შესდგება, რომლებმაც, არა გვგონია, რომ სული მოჰკიდონ ქალაქის საქმეებს. ჩვენთვის ცხადია, რომ რამდენიმე ხმოსანი, რომელთაც ჰსურთ მართლა ემსახურონ ქალაქს, ვერაფერს გახდებიან იმ მყვირალა და მხოლოდ ლაპარაკის მოყვარულ ხმოსნებთან, რომელთაც საერთო არა აქვთ-რა ქალაქის საქმესთან და გული არ შესტკივათ მისთვისაო.

ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, ბატონებო!

## რუსეთი

სასჯულო საქმეთა მინისტრს ნ. ვ. მურავიევს უცნობებია სამოსამართლო უწყების ყველა წარმომადგენლთათვის, რომ სასამართლოს ცვლილების საქმე 1898 წელს შემოდგომაზედ სრულიად დამთავრებული იქმნება და რუსეთის ყველა ადგილში ახალი სასამართლო დებულება იქნება შემოღებულიო. გარდა ამისა, მინისტრი აუწყებს, რომ სულ მცირე ხანის განმავლობაში ნაფიც-ვექილთა სამართალი იქნება შემოღებული უფიმისა და არხანგელსკის გუბერნიაშიო.

— პეტერბურგის საიმპერატორო სამხედრო სამკურნალო აკადემია აცხადებს, რომ ტყუილია ის ხმა, ვითომ ასის წლის იუბილეის გადახდის დროისათვის აკადემიას განზრახული ჰქონდეს აკადემიის პროფესორებსა და სტუდენტებს ფორმა შეუცვალოსო.

— მიმდინარე წლის სექტემბრის დამლევს პეტერბურგში, ვასილის კუნძულზედ, საეკკლესიო მხატვართა სკოლა იქმნება დაარსებული. ხსენებული სკოლა გამოჩენილის მხატვარის ბ-ნის ვასნეცოვის თაოსნობით იმართება.

— თავმჯდომარემ უმაღლესად დაარსებულის კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს, ჯეროვანი საშუალება იხმაროს, რომ იმპერიაში შავი ჭირი არ იქმნას შემოტანილი, რკინის გზათა გამგეობათ მიჰმართა, რომ ყველა სადგურზედ ადუღებული და გაციებული წყალი იქონიონ და მატარებლით მოგზაურთ უფასოდ აძლიონ ეს წყალი, როგორც ხოლერობას. დავალებული აქვთ აგრეთვე ყველა იჯარადრებს, რომ რკინის გზებზედ მუშა ხალხს ნადუღი წყალი ასვან.

— პეტროვსკის სავაჭრო განათლების გამავრცელებელს საზოგადოებას განზრახვა აქვს ამ ახლო დროში სავაჭრო სკოლა დააარსოს პეტერბურგში. სკოლა სხვა-და-სხვა სავაჭრო დაწესებულებისათვის შესაფერ მსახურთ მოამზადებს.

— პეტერბურგის სამხედრო-სამკურნალო აკადემიის კონფერენცია ამ ჟამად იმის გამორკვევას შესდგომია, თუ სამოსწავლო წლის განმავლობაში დოქტორობის ხარისხის მიღების მსურველთათვის დრო როგორ უნდა იქნას რიგზედ განაწილებული დისპუტებისათვის. ამ საგანთან ერთად გარჩეულ იქმნება ის, თუ რა ვადაზედ უნდა წარადგინონ ხოლმე დისერტაციები. ეს ვადა ახალის წესით 1-ლ მარტიდგან წლის დასაწყისზედ იქმნება გადატანილი.

— რუსეთის რკინის გზებზედ ხშირად მეტად ბოროტად სარგებლობენ ხოლმე საბონემენტო ბილეთებით. ეს გარემოება მთელის რუსეთის ჟურნალ-გაზეთობამ აღნიშნა მრავალგზის და რკინის გზათა სამმართველომაც ყურადღება მიაქცია, მაგრამ იმის მეტი ჯერ-ჯერობით ვერა იღონა რა, რომ გარდასწყვიტა აბონემენტს ზედ ეწეროს ვინაობა პატრონისა და ამასთან ჩართული ჰქონდეს ფოტოგრაფიული სურათი.

— რომ მგზავრთათვის უფრო მოხერხებული იყოს და საქონლის რკინის გზით გადატან-გადმოტანის გარდასახადი ყველგან ერთნაირი, გარდაწყვეტილია ამ მომავალის რკინის გზათა 1-ლსა და II ჯგუფის გარდასახადის გადასინჯვის დროს დანარჩენ მორიგ საქმეთა შორის ისიც განიხილონ, რომ რკინის გზების პატარა შტოებისათვისაც ერთნაირი საზოგადო გარდასახადი იქმნას დაწესებული.

— თანახმად გზათა საინჟენერო ინსტიტუტის დადგენილებისა, ხსენებულის ინსტიტუტის პროფესორი ბელელიუბსკი 5 წელიწადს კიდევ დარჩება პროფესორად.

— ამ ბოლოს დროს რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას მრავალი ხალხი მოიწამლა დამარილებულის თევზის ჭამით. ამისათვის ახლა უმაღლესს ადგილობრივს ადმინისტრაციას ყველგან ყურადღება მიუქცევია და საგანგებო მიწერილობა გაუგზავნია საპარქიო მთავრობის შემწეობით, თუ ამ გვარს შემთხვევებში რა საშუალება უნდა იღონონ ადგილობრივ

ეკკლესიის მსახურთ, მაგალითად, მღვდლებმა, მთავრებმა, დიაკვნებმა და სხ. თანახმად ამ მიწერილობისა, ურჩევენთართი, ზუთხი, დოში და სხვ. მოუხარშავად არ იხმარონ ხოლმე საჭმელად. ხოლო თუ შენიშნულ იქმნება, რომ თევზმა აწყინა ვისმე, მაშინ ყველაზედ უკეთესი საშუალებაა — თბილი წყალი, სასაქმებელი ზეთი, სელის ზეთი, ან სხვა რამ ამ გვარი დაალევინონ, ვიდრე ექიმი მიეშველებოდესო. ხსენებული საშუალებანი შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო დეპარტამენტსაც უებრად უცვნია.

## უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** მიუხედავად ევროპის სახელმწიფოთა მუქარისა, ოსმალეთი მაინც თავისას არ იშლის და მოლაპარაკებას ბოლოს არ უღებს. ყოველს საშუალებასა ჰხმარობს, რომ მოლაპარაკება დღითიდღე გააჭიანუროს, გადაწყვეტილ პასუხს არაფერზედ არ იძლევა და ასეთის ხრიკებით ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს გამოურკვეველს მდგომარეობაში აყენებს. ოსმალეთი ხან ისე იქცევა, თითქმის უნდა ყველაფერს ბოლო მოუღოსო და ხან-კი ევროპის წარმომადგენელთ არაფერს არ უჯერებს და თავისას გაიძახის. სწორედ იმიტომაა, რომ გაზეთებში დღეს ერთი აზრია გამოთქმული მოლაპარაკების შესახებ და ხვალ-კი პირდაპირ იმის წინააღმდეგი იქმნება. გაზეთები და დიპლომატები ზოგი ვის აბრალებს ასეთს გაჭიანურებას და საქმის აწეწ-დაწეწას და ზოგი ვის. ზოგიერთი ბრალს თვით სულთანსა სდებს, ზოგი-კი დიდვეზირს და თევთიკ-ფაშას. ერთის სიტყვით, ოსმალეთი იმდენად დახელოვნდა ევროპის პოლიტიკაში, რომ ლამის თვით ევროპიელები მოატყუოს და თავისი გაიყვანოს. მართლაც და, ძალიან ძნელად წარმოსადგენია, რომ საქმის ასეთი გაუთავებლობა რომელისამე კერძო ადამიანს ბრალი იყოს და არა მთლად ოსმალეთის მთავრობისა. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ სულთანიც დიდი ვეზირიც და თევთიკ-ფაშაც თანახმად ჰმოქმედებენ და მხოლოდ ევროპიელთა თვალის ასახვევად ისე იქცევიან, თითქოს რომელიმეა მათგანი დამნაშავე და არა ყველანი. აშკარაა რომ ოსმალეთს წინადვე აქვს შემუშავებული მოქმედების გეგმა და ყოველს საშუალებასა ჰხმარობს იმის განსახორციელებლად. ამას ოსმალეთის ყოველივე მოქმედება და აზრი ამტკიცებს. ეგრე რომ არ იყოს, ძნელი ასახსნელია ის გარემოება, რომ ოსმალეთი, ერთის მხრით, თითქოს თანახმაა თავი დაანებოს თესალიას და მეორეს მხრით-კი დიდს სამზადისშია და აუარებელს ჯარსა ჰგზავნის იქ. აი, მაგალითად, რასა სწერს „International Corresp.“-ს კონსტანტინეპოლიდგან: „ამ დღეებში სალონიკის პრეფექტი დაიბარეს და გამოუცხადეს, რომ იგი ლარისის (თესალიაში) პრეფექტად იქმნა დანიშნული; ამასთანავე ჩააბარეს დაწვრილებით ინსტრუქციები იმისი, თუ როგორ უნდა მოიქცეს და 30 სხვა მოხელესთან ერთად გაისტუმრეს ლარისაში. შეიხ-ულ-ისლამმა უკვე დანიშნა თესალიის ყველა ქალაქში მოლები და მოსამართლენი სასულიერო საქმეების გასარჩევად. მაგრამ ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ სამხედრო მინისტრმა ვრცელი საინჟინერო გეგმა შეიმუშავა თესალიის შესამაგრებლად. ამ გეგმის თანახმად, აუარებელი ციხე-სიმაგრე იქნება აგებული თესალიაში, განსაკუთრებულ საზღვრებზედ. ამ საქმის განხორციელებას კიდეც შეუდგნენ. უკვე რამდენიმე კვირაა, რომ მრავალი ევროპიელი ინჟინერი გულ-მოდგინედ აგებენ სიმაგრეებს. ყველა ეს მით უფრო საკვირველი და განსაცვიფრებელია, რომ საშინელის სიჩქარითა და სისწრაფით სრულდება იგი, რაიცა სრულებით არ შეეფერება ოსმალების დინჯს ხასიათს. ამ ჟამად ყველა ოსმალო, ვეზირიდგან დაწყებული უკანასკნელს გლეხამდე, ამას გაიძახის „დეე ელჩებს რაც უნდათ, ის გადაწყვიტონ, მაგრამ ეს კია, რომ ვერც ერთი სახელმწიფო იმდენს ჯარს ვერ მოიყვანს თესალიაში, რამდენიც საკმარისი იქნება 150,000 ოსმალეთის ჯარის იქიდგან გამოსარეკად“. აი ასე იქცევიან და ჰლაპარაკობენ ოსმალები. აშკარაა, იმათ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტეს თესალია აღარ გაუშვან ხელიდგან, თუ ფორმალურად არა, ფაქტიურად მაინც. ოსმარებმა კარგად იციან, რომ მოლაპარაკება რაც უფრო დიდხანს გასტანს, საბერძნეთი მით უფრო გაჭირვებასა და სიღარიბეში ჩავარდება და, ყველა ამის შედეგი-კი ის იქმნება, რომ საბერძნეთი დიდ ხნობამდის სამხედრო ჯილდოს ვერ გადიხდის. ოსმალეთსაც ეს უნდა, მიზეზი კარგი ექმნება და თესალიას თავს აღარ დაანებებს.

## ნაკვესი

—

მამა მოკვდა, მოხუცია, შვილი — მხცოვანა ჭაბუკი.

— კიუკ, მამა ჩემო, საპატარძლოსას. წლოვანებით ორმოცდა-ათის წლისა იქნება, თხუთმეტი ათასი თუმანი ნაღდი აქვს, ორი ქვითკირის სახლი, აგარაკი და სხვანი.

— წლოვანების გარდა, დანარჩენი უკეთესი შეგეფერება. (მცირეოდენის ხნის ფიქრის შემდეგ) იცი რა, მოდი მე შევირთავ შენ მაგივრად.

— კარგს ამბობ მამა! იმისი წლოვანება შენ უფრო მოგიხდება და დანარჩენი-კი — მე.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

აქამდე ამბობდნენ, რომ ჭადრაკის თამაშობა უწინდელმა ინდოელებმა მოიგონესო. შემდეგ ინდოელებისაგან მეექვსე საუკუნეში სპარსელებმა დაისწავლეს ეს თამაშობა და ბოლოს ჯვაროსნებმა აღმოსავლეთიდგან ეს თამაშობა გადმოიტანეს ევროპაშიო. ამის დასამტკიცებლად იმას ამბობდნენ, რომ ამ თამაშობაში ზოგიერთი ინდოელი, სპარსული და არაბული სიტყვები იხმარებაო. მაგალითად: შაჰი, მათი, ეხლა-კი აღმოჩნდა, რომ ჭადრაკის თამაშობა უფრო ძველად სცოდნიათ. აფრიკაში, საკარის მახლობლად მეფე ტეტუსა ანუ ტეტის პირამიდასთან უპოვნიათ სახელმწიფო მოხელეთა კაბინისა და მერნკერის საფლავები. კაბინის აკლდამა აშენებული ყოფილა ქვითკირით და სულ ხუთი თაღი ჰქონია. უფრო შესანიშნავია მერის აკლდამა, რომელიც წარმოადგენს 27 თაღს. ერთს ალაგას უპოვნიათ მერის ქანდაკება, რომელსაც წინ უდგია ალებასტრის მაგიდა. კედლებზედ დახატულია სხვა-და-სხვა სურათები: ნადირობა, თევზაობა, სურათები მერის ცოლებისა და შვილებისა. თვით მერი-კი ჭადრაკსა თამაშობს. ეს მეფე ტაიტს ეკუთვნის. პროფესორი ლეპსიუსი ამტკიცებს, რომ ეს მეფე ქრისტეს დაბადებამდე 2700 წლის წინად იყო, პროფესორის ბრუგ-ფაშას სიტყვით-კი ეს მეფე ხელმწიფობდა ქრისტეს დაბადებამდე 3300 წლის წინად.

* * *

გერმანული ერთი გაზეთი სწერს: „უწინდელ დროში იყო ერთი კანონი, რომლის ძალითაც თუ ერთსა და იმავე საქმეში ორ კაცს ედებოდა ბრალი, დამნაშავედ იმას სცნობდნენ, ვინც უფრო ულამაზო სახისა იქმნებოდა. ამ ჟამადაც მსაჯულნი, თუმცა უნებურად-კი, მაგრამ მაინც ყურადღებას აქცევენ ბრალდებულის სახეს. ლომბროზო ამტკიცებს, ქალებს რაღაც ისეთი უცნაური ნიჭი აქვთ, რომლის წყალობითაც ავაზაკს სახეზედ შეატყობენ ხოლმეო. დედა ჩემმაო, სწერს ლომბროზო, ორ კაცს სახეზედ შეატყო, ავაზაკები უნდა იყვნენო, და მართლაც რამდენისამე ხნის შემდეგ ორთავემ დიდი დანაშაული ჩაიდინეს. ძლიერ საყურადღებოა შემდეგი მაგალითი. გრაფის დელა-როკის ცოლს გააცნეს ერთი ყმაწვილი კაცი, რომელიც თვისის ოხუნჯობითა და მოსწრებულის სიტყვა-პასუხით ყველას მოეწონა. გრაფის ცოლმა ამ კაცთან ლაპარაკი არ მოინდომა. ჰკითხეს ამის მიზეზი და ქალმა სთქვა, მაგ კაცს ისეთი სახე აქვს, რომ დარწმუნებული ვარ, კაცის მკვლელი უნდა იყოსო. მართლაც ეს კაცი ბოლოს ცნობილი ავაზაკი ფრანჩესკონი გამოდგა. ლომბროზომ ერთხელ ერთს მასწავლებელს ქალს მისცა 20 სურათი სახელოვან მეცნიერთა და 20 სურათი განთქმულ ავაზაკთა და სთხოვა, ეს სურათები თქვენს მოწაფე ქალებს უჩვენეთ და სთხოვეთ, გამოიცნან, ვინ არის ავაზაკი და ვინ მეცნიერიო. მოწაფეების პასუხებიდგან აღმოჩნდა, რომ ორმოც სურათში 30 გამოიცნეს ვისი იყო და მხოლოდ 10 სურათის შესახებ მოუვიდათ შეცდომა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 ივლისი.

(მიღებულია ღამის 11 საათზედ).

**პრეტორია.** ფოლკსრადმა შეიწყნარა შეთანხმება საპოლიტიკო ხელშეკრულობისა ორანჟის რესპუბლიკასთან.

**ოდდე.** ხომალდი „ჰოჰენცოლერნი“ ხვალ ბერლინში წავა. გერმანიის იმპერატორის ჯანმრთელობა საკმაყოფილოა.

**კონსტანტინეპოლი.** დღეს მოხდა ელჩების კრება, რომელმაც სამ საათს გასტანა. კამბონი ხუთშაბათს მიდის აქედგან.

**ლონდონი.** გაზეთს „Times“-ს კონსტანტინეპოლიდგან დეპეშით სწერენ, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა პასუხი არ გასცეს ოსმალეთს, რომელმაც განაცხადა, კრიტის კუნძულზედ ჯარები უნდა გავგზავნოო; იტალიამ პირადად შეუთვალა ოსმალეთს, გირჩევთ კვლავ მოიფიქროთ ეგ თქვენი გარდაწყვეტილებაო.

**პარიზი.** ფელიქს ფორი დაესწრო მარაბოს ხიდის კურთხევას ქალაქის საბჭოს პრეზიდენტმა სოტონმა მადლობა განუცხადა რესპუბლიკის პრეზიდენტს და სთხოვა, გადაეცით რუსეთს საფრანგეთის სატახტო ქალაქის მიერ სურვილი იპერიის კეთილ დღეობისა.

**კონსტანტინეპოლი.** გუშინ მოხდა მინისტრთა საგანგებო კრება. შემდეგი კრება ელჩებისა მოხდება ხუთშაბათს.

1 ივლისი.

**პეტერბურგი.** (მიღებულია 2 ივლისს) მე 65 ტირაჟში გამოვიდა შემდეგი ბილეთები პირველის სესხისა: ნომერი სერიებისა:

15855, 16469, 11033, 13374, 15491, 16126, 9715, 374, 16311, 2684, 8651, 9849, 141764 (?), 18387, 10217, 11667, 8024, 14288, 9542, 618, 17300, 7095, 175561 (?), 1271, 2790, 14895, 14512, 911, 5465, 935, 2296, 4515, 19607, 5952, 16114, 8009, 4464, 8457, 14304, 1967, 1520, 2929, 17058 18705, 4908, 4009, 5620, 17752, 15303, 19541, 16875, 14407, 13204, 14539, 11868, 16422, 14463, 2812, 16315, 9569, 751, 9339, 12329, 344, 18858, 17890, 15466, 5366, 16173, 16848, 9560, 11998, 12744, 12711, 2897, 2493, 6290. 9308, 524, 382, 2735, 5110, 10237, 9217, 12229, 11396, 17495, 15447, 7546, 4188, 1404, 15062, 19732, 19233, 1665, 798, 3195, 3301, 9579, 5849, 15958, 4756, 1105, 15851, 4074, 6075, 12632, 17594, 6157, 11200, 13992, 12263, 10988, 106, 3951, 11250, 2750, 1917, 10386, 9654, 19394, 10345, 68, 12403, 8733, 4450, 8614, 3142, 18201, 13779, 17285, 3285, 2260, 11736, 6737, 1856, 4801, 1697'8455, 2703, 19771, 4815, 9231, 17811, 11976, 12469, 9544, 9933, 6545, 2351, 11222, 2262, 3845, 6694, 9096, 13017, 10416, 41, 6667, 17378, 5323, 129, 16029, 11622, 10895, 15313, 452, 5558, 12113, 3561, 17801, 1824, 11392, 15326, 14507, 14942, 741, 5494, 18900, 3014, 3971, 15977, 11875, 4556, 18980, 11888, 12912, 9993, 5355, 18306, 11597, 8799, 7161, 19540, 8888, 5682, 11204, 2513, 12900, 3978, 18108, 831, 12353, 437, 19819, 12875, 15688, 14083, 12115, 17208, 3093, 14447, 18220, 4077, 8454, 2700, 16760, 1861.

**პეტერბურგი.** გირავნობის ფურცლები ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა: 6% — $103\frac{1}{4}$ გაყიდ., 5% — 100 გაყიდ. გირავნობის ფურცლები ქუთაისის სათავად აზნაურო საადგილ მამულო ბანკისა: 6% — 103 გაყიდ. 5% — 100 გაყიდ.

### პეტერბურგის ბირჟა, 1 ივლისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | " — | — " | — " |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . | $105\frac{1}{2}$ | — " | — " |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $101\frac{3}{8}$ | — " | — " |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — " | — " | — " |
| 5% იმავე ბანკისა. | — " | — " | — " |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — " | — " | — " |
| 5% იმავე ბანკისა. | — " | — " | — " |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — " | — " | $100\frac{1}{8}$ |
| % პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 286 | — | — " |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 245 | — | — " |

### წერილი რედაქციის მიმართ

—

„ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქცია, რომელმაც არც-კი ინება გადაებეჭდა ჩემი წერილი ქართულ გაზეთებიდგან, ახლა აცნობებს მკითხველებს, რომ დუშეთიდგან სტეფან მანდენოვისაგან მიუღია წერილი, რომელიც ამტკიცებს უსაფუძვლობას ჩემის წერილისას ბოდავის წმ. გიორგის ნიშში ღვთის-მსახურების აღსრულების თაობაზედ. რადგანაც ის ერთი კალმის გაკვრა ჩემს წერილს ბურუსში ჰხვევს, მის განსაფანტავად ვთხოვ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციას, ბ-ნ მანდენოვის წერილი გამოაშკარავოს, მხოლოდ, რასაკვირველია, საბუთების ჩართვით, რათა შემეძლოს მეც პასუხი გავცე.

მღვდელი ზაქარია კარიაული

—

ულრმესს მადლობას ვუცხადებ დროებით დაბა აბაშაში მცხოვრებს ბ. ბაგრატ ივანეს ძე დოლიძეს, რომელმაც ხიდისთავის ღარიბ უფასო სამკითხველო-ბიბლიოთეკას შემოსწირა შემდეგი წიგნები: 1) „სამი მსხვერპლი“, დრამა, დ. ჯავახიშვილისა. 2) „ჯაბა ჯაიანი“, გ. გვაზავასი. 3) „რუხის ბრძოლა“, გეგენჭკორისა. 4) „ჩემო შვინდავ“, შ. არაგვისპირელისა. 5) „დარვინიზმი“, თარ. ფანცხავასი. 6) „პატარა ლექსების კრებული“, გამ. ლადიძისა. 7) „წიგნების ქება“ ორი ცალი ბ. დოლიძის ნათარგმნი. 8) „ცაცინა“, ქვარიანისა. 9) „მეფე მალიასი.“ ქუთ. საკ. სკოლის გამოცემა. 10) „ყვითელი სანთელი“, აკაკისა. 11) „სად არის შველა“, მასხულიასი. 12) „მაჰმადი და მისი რჯული“, თარ. ზარაფიშვილისა. 13) „ეკატერინე ბატონიშვილი“, სულ 1 მ. 29 კ. დარწმუნებულნი ვართ, რომ სხვებიც მიჰბაძვენ ამ მაგალითს, არ დაიშურებე თავიანთ წვლილს და ხელს შეგვიწყობენ ასეთს რთულს საქმეში.

ადრესი: Въ М. Чохатаури—Хидистави хидиставской общественной библіотекѣ

დროებით გამგე ბიბლიოთეკისა პოლიევქტო კალანდაძე

—

ჩემის მოწაფეებისა და საზოგადოების მხრივ მადლობას გამოვუცხადებ ბ-ნს ლუკა ლაზარეს ძე ანდღულაძეს, რომელმაც რწმუნებულს ჩემდამო ძიმითის ახალს სკოლას ერთი $10\frac{5}{8}$ გირვანქიანი ზარი შემოსწირა.

დ. ივ. ერქომაიშვილი

ს. ძიმითი.

Дозволено цензурою, Тифлисъ 2 го Юлія 1897 г
სტამბა ძ. მარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.